საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ირმა გელაშვილი

ბიულეტენი

კენჭისყრა - 17.06.2021	
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ეკა ზარნაძე?	
დიახ	არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს,
ბატონ ნიკოლოზ მარსაგიშვილს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად ეკა ზარნაძის წარდგინების შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში „საბჭო“) 2020 წლის 7 ოქტომბრის №1/134 განკარგულების საფუძველზე დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის 9 ვაკანტურ თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენ კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, რომელშიც, სხვა კანდიდატებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ეკა ზარნაძემ.

,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის (შემდგომში „ორგანული კანონი“) 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, კანდიდატის შესახებ მოპოვებული წერილობითი, ასევე, მისი საჯარო მოსმენის შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, კანდიდატი - ეკა ზარნაძე შევაფასე კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმების მიხედვით. შეფასების შედეგად, მივიჩნიე, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, ხოლო კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით მას მივანიჭე 90 ქულა, რაც ორგანული კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებული მაქსიმალური ქულის 90%-ს შეადგენს.

მითითებული კანონის 34^1 მუხლის მე-13 პუნქტით დადგენილი წესით, 2021 წლის 17 ივნისს საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში კენჭი ეყარა ეკა ზარნაძის კანდიდატურას მისი საქართველოს პარლამენტისთვის წარდგენის საკითხის საბოლოოდ გადასაწყვეტად. შედეგადად, ეკა ზარნაძის კანდიდატურამ მოიპოვა საბჭოს 12 წევრის მხარდაჭერა. მიმაჩნია, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს. შესაბამისად, ღია სხდომაზე მხარი დავუჭირე საქართველოს პარლამენტისთვის საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად **ეკა ზარნაძის** კანდიდატურის წარდგენას.

პატივისცემით,

ირმა გელაშვილი,
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

2021 წლის 17 ივნისი